№ 52

პარასკევი, 10 მარტი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 52

პარასკევი, 10 მარტი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი
### ექიმი გაბრ. იოს.
## გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშილის სახლი, № 20.
(40—140—30)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე

კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**ვ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სალოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი - მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სა განიშვილისა, № 21 (კარანცოვის მეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. ვურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შაპოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა,

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და დააჯილდოვა 12 წლის განსაკუთრებულ გულმოდგინეობითი სამსახურისთვის წმიდა ანნას მესამე ხარისხის ორდენით ქართლ-კახეთის ეპარქიის სოფ. ხუისის ეკლესიის მღვდელი იოსებ ხუციშვილი.

—

გეგმა 1900 წელს ტფილისის გუბერნიაში გასამიჯნავ მიწებისა, შედგენილი სამოსამართლო პალატის გამმიჯნავ საკრებულოს მიერ ამა წლის 11 თებერვალს და დამტკიცებული სასჯულო საქმეთა მინისტრისაგან თებერვლისავე 25-ს.

დასასრული *)

გამიჯვნის მუშაობანი დაიწყება:

ახალქალაქის მაზრა.

58, სოფ. ხერთვისი, კვარშა-ჩუნჩხელა და ქილდა. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. აპრილში. გამმიჯვნელია უფროსი მიწის მზომელი შეპელიოვი.

ტფილისის მაზრა.

59, აგარ. საბარათაშვილო. აღსრულებულ იქმნება მორიგებითი წერილი და განახლებული იქმნება მიწის საზღვრები. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

60, სოფ. ყორსანი, გაყოფა № 1 მიწის ნაჭრისა. ივნისში. გამმიჯვნელია იგივე.

61, სოფ. თოხლიაური. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. გამმიჯვნელია იგივე.

სიღნაღის მაზრა.

62, გამიჯნული იქმნება ის სახაზინო მიწები, რომელიც მირზაანისა და ჯუგაანის სასოფლო საზოგადოებათა უკვე გამიჯნულ ადგილებ შუა მდებარეობს, აგრეთვე ვანაანისა, ყარალაჩინის ტყისა და შირაქის საზამთრო საძოვარ ადგილებ შუა. მემამულეთ წარედგინებათ სადაო გეგმა ხელის მოსაწერად. აპრილში. გამმიჯვნელი იქმნება მიწის მზომლის უფროსი თანაშემწე სარქისოვი.

ტფილისის მაზრა.

63, ყარაიაზის მამულის პირველი ნაწილი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

64, სოფ. კუმისი და იაგლუჯა. მაისში. გამმიჯვნელია იგივე.

65, სოფ. წავკისი. განახლებულ იქმნება სამნები და საზღვრები ვოინოვის მიწებისა. ივლისში. გამმიჯვნელი იგივეა.

66, სოფ. ზემო-ავჭალა. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა მამულებისა. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

67, სოფ. გლდანი. აღსრულებულ იქმნება მორიგების წერილი. ოქტომბერში. გამმიჯვნელია იგივე.

68, სოფ. საცხენისი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. ოქტომბერში. გამმიჯვნელია იგივე.

69, სოფ. დიღომი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება. გასწორებულ და განახლებულ იქმნება სახელმწიფო მიწების სამნები და საზღვრები. აპრილში. გამმიჯვნელი იქმნება მიწის მზომლის უფროსი თანაშემწე კოჩმერჟევსკი.

სიღნაღის მაზრა.

70, თავ. ანდრონიკაშვილების ალაზანს გაღმა მდებარე მიწები. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა მამულებისა. მაისში. გამმიჯვნელია უფროსი მიწის მზომელი ფილიპპოვი.

თელავის მაზრა.

71, სოფ. შილდა. აღსრულებულ იქმნება ადმინისტრაციის გარდაწყვეტილება. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

72, სოფ. ლალისყური. მამულების გაყოფის განგრძობა. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

73, სოფ. ვაჩნაძიანი. აღსრულებულ იქმნება სასამართლოს გარდაწყვეტილება და გაყოფა საავარაკო ადგილებისა. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

*) იხ. „ივერია“ № 51.

## ფელეტონი

### მიწის ძვრა ჯავახეთში *)

წარსული უკუღმართი წლის 19 დეკემბერი საშინელი დღე იყო ჯავახეთის ერთი ნაწილისათვის. მკითხველს, რასაკვირველია, ცოტათი მაინც გაგებული აქვს, რა საშინელი შედეგი მოჰყვა ამ მიწის ძვრას, რომელიც მოხდა ნაშუადღევის 2 საათ. და 7-წ. ეს განადგურება უფრო მეტად საგრძნობელი იყო ბარალეთის საბოქაულოს ზოგ-ზოგი სოფლებისათვის და რამდენად დაზარალდა ხალხი, ამის საბუთად ხელთ გვაქვს დაახლოებითი ცნობები, რომელნიც შეჰკრიბეს და წარმოუდგინეს მაზრის უფროსის თანაშემწეს, ბ-ნს დ. ტ. დუბანოსს სოფლის მამასახლისებმა. ვამბობ, დაახლოებითი მეთქი იმიტომ, რომ ეს ცნობები საჭიროებს ხელმეორედ შემოწმებას, რაიცა მინდობილი აქვს ბ-ნის გუბერნატორისაგან დროებით აქ გამოგზავნილს აბასთუმნის ბოქაულს, ბ-ნს ტელიშევს.

ბარალეთის საზოგადოების თხუთმეტ დაზიანებულ სოფელთა შორის მეტად დაზარალებული და თითქმის მთლად დაქცეულად უნდა ჩაითვალოს ხუთი, სახელდობრ: მერენია, იხტილა, ორივე სამსარი—დიდი და პატარა და ბუჟანო (იგივე ჯანჯღა). ზემოდ ხსენებული ცნობებიდგანა სჩანს, რომ:

1) მერენიაში 118 კომლი მიწის ძვრამდე შეიცავდა 500 სულს მამრს და 412 ს. მდედრს; ამათგან საშინელმა სტიქიონმა იმსხვერპლა 38 მამრი და 51 მდედრი, სულ 89 სული. საქონელი დაჰლუპვიათ: ხარი 182, ძროხა 208, ცხენი 13, ცხვარი და თხა 337 და 53 სკა ფუტკარი. სახლები ყველა 118 კომლისა პირამდის დაქცეულია ისე, რომ დიდი შრომა და ჯაფა უნდა მათ გასუფთავება-გარჩევას და ქვეშ მოყოლილ ყოველნაირ ქონების გამოტანას; ესევე ბედი ეწვია ეკკლესიასაც.

2) იხტილაში. 71 კომლი შეიცავდა 342 სულს მამრს და 308 ს. მდედრს, სულ 650-ს, ამითგან დახოცილა 1 მამრი 7 მდედრი, სულ 8 სული. დახოცილი საქონელი ხარი 17, ძროხა 11, ცხენი 4, ცხვარი და თხა 146. თითქმის ყველას სახლები დაქცეულია. ამ თავზარ-დამცემს სტიქონს ვერ გადარჩა აგრეთვე იხტილის ქართველთა ძველი ეკკლესიაც, მოწამე ჩვენის წარსულის დიდებისა და ნიმუში ქართველთა ხელოვნებისა მერვე საუკუნეში; დასავლეთის კედელი საძირკვლამდის გახეთქილა თითქმის 4—5 გოჯის სიგანეზე და გადმოიქცა გალავანი. უმისოდაც, ჟამთავითარების გამო და ადამიანთა შეუბრალებელი ხელის წყალობით, საკმაოდ დაზიანებულ ეკკლესიაში, ეს რამდენიმე წელიწადია, აკრძალული ჰქონდათ იხტილელებს ლოცვა.

3) დიდ-სამსარში 44 კომლი შეიცავდა 257 სულ მამრს და 222 მდედრს; სულ 479 სული. ამათგან მსხვერპლი უბედურებისა 17 მამრი და 30 მდედრი, სულ 47 სული. საქონელი დახოცვიათ: ხარი 78, ძროხა 75, ცხენი 8, თხა და ცხვარი 472, სულ 633. სახლები სულ მთლად დაქცეულა აგრეთვე ეკკლესიაც.

4) პატ. სამსარში 51 კომლი შეიცავდა 290 სულ მამრს და 215 მდედრს, იმსხვერპლა მიწის ძვრამ 11 მამ. და 20 მდ., სულ 31 ს. დახოცილი საქონელი: ხარი 50, ძროხა 70, ცხენი 2, ცხვარი და თხა 184, სულ 306 სული. სახლები აგრეთვე ყველა დაქცეულია და ეკკლესიაც.

5) ბუჟანოში. 118 კომ. შეიცავდა 550 მამ. და 483 მდედ. სულ 1033 ს. სახლებს დაუტანია და დაუხოცნია მარი 14, მდედ. 32 ს., სულ 46 სული. დახოცილი საქონელი: ხარი 23, ძროხა 39, ცხენი 20, ცხვარი და თხა 230, სულ 312 სული. ხალხში 77 კომლს სულ დაქცევიათ სახლები, (თითოს ოთხიდგან 13 თვალ სახლამდის), დანარჩენების სახლები ცოტ-ცოტათია დაზარალებული, საერთოდ კი მთელს სოფელში 569 თვალი სხვა და სხვა შენობაა დაქცეული. ამ ნაირად ხსენებულს 5 სოფელში 19 დეკემბერს მომხდარმა მიწის ძვრამ მოუსპოა სულ რამდენიმე წამის განმავლობაში 211 ადამიანს სიცოცხლე. იმავე ბარალეთის საზოგადოებაში უფრო ნაკლებად დაზარალებულია შემდეგი 10 სოფელი:

1) აგანა. 30 კომლი შეიცავდა 284 მამრს და მდედრს; დახოცილი 8 მ. და 6 მდ., სულ 14 ად. საქონელი დახოცვიათ: ხარი 17, ძროხა 16, ცხვარი და თხა 44, სულ 77 სული. 7 კომლს სახლები სულ დაქცევია, ხოლო სხვებს—ცოტათი.

2) ბალხო. 44 კომლი შეიცავდა 426 მამრსა და მდედრს. ადამიანთაგან არავინ დაზიანებულა, მაგრამ დაჰხოცვიათ: ხარი 11, ძროხა 11, ცხენი 2; ცხვარი და თხა 97 სული, სულ 121 სული. სახლები დაქცევიათ 6 კომლს.

3) დირგნა. 19 კომლი: ადამიანი 3 მომკვდარა, ხოლო საქონელი—ხარი და ძროხა 11, ცხვარი და თხა 10, სულ 21 სული. ცამეტ კომლს სახლები იმდენად დაზიანებიათ, რომ მათში ცხოვრება საშიშია, ხოლო სამ კომლს ცოტათი.

4) ღომატურცხა. 16 კომლი შეიცავს 222 სულს ორივე სქესისას; ადამიანთაგან არავინ დაუტანია, ხოლო საქონელი დახოციათ: ძროხა 5, ცხენი 1, ცხვარი და თხა 11, სულ 17 სული. ოთხი კომლის სახლები ძალიან დაქცეულია, ხოლო დანარჩენებისა ცოტათი.

5) ხირგვი. დახოცილი საქონელი: 3 ხარი, 2 ძროხა, 24 ცხვარი და თხა, სულ 29 სული. სახლები ცოტათია დაზიანებული.

6) ალათუბანი. 15 კომლი შეიცავდა 143 ს. მ. და მდ. უმსხვერპლია 2 ადამიანი. ერთის კომლის სახლი დაქცეულია ძალიან, ხოლო დანარჩენებისა ცოტათი.

7) გომშა. ადამიანი მოუკლავს 3; ხუთი კომლის სახლები ოდნავ არის დაშავებული, ეკკლესია-კი დაქცეულია.

8) კოთელიაში (ქართველებითაა დასახლებული) მხოლოდ ერთს კომლს დაზიანებია სახლი ცოტათი და დაუტანია 8 ცხვარი.

*) სამწუხაროდ, ამ წერილის დროზედ დაბეჭდვა ვერ მოვასწარით.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

—

*** თავ. ზ. ერისთავის ოძისის მამულში, რომელიც ამ დღეებში ნოტარიუსის წესით თავადმა მთავრობას გარდასცა, სამეურნეო სასწავლებელს მომავალს შემოდგომაზედ დააარსებენ.

*** როგორც მკითხველებმაც უწყიან, ამ გაზაფხულზედ ამიერ-კავკასიაში ჩამოვა სასჯულო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მურავიოვი. მინისტრი, როგორც ამბობენ, დაესწრება ქუთაისის სასამართლო დაწესებულებათა ახალ შენობის კურთხევას, რომელიც იმ დრომდის უკვე მზად იქმნება.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რუსეთიდგან გადმოსახლებულთათვის სახელმწიფო მიწების გასაწესრიგებლად მიმდინარე წელს გამგზავნელ მოხელეთა შტატები გაუდიდებია, ასე რომ გამგზავნის მუშაობისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვას წელს კიდევ 20,000 მანეთამდე მიჰმატებია.

*** დღეს, 10 მარტს, საზღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში (გოლოვინის პროსპექტი № 42) მოხდება საზოგადოების განყოფილების წევრთა კრება, რომელზედაც ბ-ნი ი. ქუთათელაძე წაიკითხავს თავისს მოხსენებას აბრეშუმის მრეწველთათვის საზოგადო სასწორების დაარსებისა და აბრეშუმის ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოვების შესახებ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი საყოველთაო მიწერილო ით სწერს მოხელეთ, რომ ყველა შარშანდელი წლიური ბილეთები გაუქმებულიაო.

*** როგორც დაახლოვებით გამოუანგარიშებიათ, უსახელო საზოგადოების დირექტორს ქალაქის გამგეობასთან ცხენის რკინის გზის ხელ შეკრულობის დადება ნოტარიუსის წესით 40,000 მანეთამდე დაუჯდება. აქედგან 25,000 მან. სახელმწიფო გარდასახადი, 12,000 ქალაქის სასარგებლოდ და 3,000 ნოტარიუსის ჯილდოდ ხელ-შეკრულობის დასამტკიცებელი.

*** იმ უწესოების გამოძიება, რომელიც მოხდა ტფილისის ხელოსანთა კრებაზედ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, მიენდო საგუბერნიო მართველობის წევრს ბ-ნს ტირიუტინს.

*** როგორც იუწყებიან, მთავრობას ამა 1900 წლის სადამოქნო უწყებათა შესანახ ხარჯთ-აღრიცხვისათვის მიუმატებია კიდევ 178,291 მან. ამ უწყების მოხელეთა შემწეობისა და საჩუქრებისათვის.

*** ქართლ-კახეთ-იმერეთის საეპარქიო საბჭოს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის დაბა საჩხერის ორ-კლასიან სამრევლო საეკლესიო სკოლის 1900 წლიდგან სამის წლის განმავლობაში შესანახად უთხოვნია სულ 5,100 მანეთი.

*** ქალაქის სავაჭრო ადგილებისა და ბაზრის გასაწესრიგებლად სავალდებულო დადგენილებათა პროექტი უკვე დაუმთავრებია ქალაქის გამგეობას და ჩქარა წარუდგენს ქალაქის საბჭოს მისდა განსახილველად.

*** ამა წლის თებერვლის განმავლობაში ქალაქის სასანიტარო-სამკურნალოში ყოფილა სულ 99 სხვა და სხვა გადამდებ სენით ავადმყოფნი. ამათგან ყელჭირვებით 34, წითელათი 39, ყვავილით 7. ხურვებით 7, ხუნაგით 5, ინფლუენციით 3, ჭლექით 2 და წითელის ქარით 2.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიოვი რუსეთიდგან უკვე დაბრუნდა ტფილისს.

*** საჯავახო, (ქუთაის-ოზურგეთის მაზრა). წარსული ზამთარი თუმცა სასტიკი არ იყო თოვლის მხრივ, მაგრამ საჯავახოს ყველა სოფელს დიდი ზარალი მიაყენა. ხშირად ასტყდებოდა ხოლმე ძლიერი ქარი, რომელმაც სახურავი არ შეარჩინა სახლებს. ყავრით დახურულმა სახლებმა, როგორც იყო, კიდევ გაუძლო ალაგ-ალაგ, მაგრამ ისლის სახურავი არც ერთს შენობას არ შეარჩინა. საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თითო მოსახლეს 5 მანეთის ზარალი მაინც მოუვიდა.

*** ალაგირი, (ოსეთი). აქ სხვადა-სხვა ავადმყოფობამ იჩინა თავი. მაგალითად ჭვალმა, ციებამ, ყელის-ტკივილმა და სხ., რის გამო ბევრი იხოცება. თუმცა აქ საავადმყოფო არის, მკურნალი და ოთხი ფერშალიც, მაგრამ სოფლელების გაჭირვებას მაინც არა ეშველა-რა.

17 თებერვალს აქაურ ქართულ სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა პავლე ლომთათიძემ საქალებო სამრევლო-საეკლესიო სკოლის დარბაზში გამართა ქართული უფასო სალიტერატურო საღამო. აუარებელი საზოგადოება—ქართველები, რუსები და ქართულ სკოლის მოწაფეები მოაწყდა სკოლის დარბაზს. საღამო შესდგებოდა ლექსებისა და სიმღერებისაგან. საღამომ, როგორც პირველმა ალაგირში, საზოგადოდ კარგად ჩაიარა. სიმღერებში ყველაზედ უფრო მოეწონა საზოგადოებას გურული „ინდი-ვინდი“, „პატარა საყვარელო“ და აგრეთვე კახური „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“. მოწაფეები მშვენივრად გითხულობდნენ ლექსებსა და მწყობრად ჰგალობდნენ. საღამოს გამგემ—პავლე ლომთათიძემ წაიკითხა რამდენიმე სცენა გურულებისა და იმერლების ცხოვრებიდგან.

მეორე დღეს, 18 თებერვალს, იმავე ბ-ნმა ლომთათიძემ გაჰმართა სკოლის დარბაზში ცოცხალი სურათები. სურათები იყო ამოკრებილი ძველის და ახალის აღთქმიდგან, კრილოვის იგავ-არაკებიდგან და სხ. ეხლაც აუარებელი საზოგადოება მოაწყდა, მაგრამ, სკოლის დარბაზის სივიწროვისა გამო, ბევრნი გარედ იდგნენ სიცივეში და იქიდგან უცქეროდნენ. მოწაფეები და ხალხი დიდად ნასიამოვნები დაბრუნდნენ სახლში.

დიდ-მარხვის პირველ კვირაში აქაური ეკლესია ქართველ მაზიარებელ ქალით და კაცით გაიჭედა. წირვა-ლოცვა, ჩვეულებრივ, სლავიანურს ენაზედ უნდა ასრულებულიყო, რადგანაც აქაური მღვდელი კარგი შთამომავლობით ოსია და ქართული ენა არ ესმის. მაგრამ მასწავლებელი პავლე ლომთათიძე შეგიდა იმათ გაჭირვებულ მდგომარეობაში და სთხოვა მღვდელს, ქართულს ენაზედ ჟამნისა და ფსალმუნების წაკითხვის ნება მოეცათო. მღვდელი დიდის სიამოვნებით დასთანხმდა. ამნაირად პავლე ლომთათიძე მთელი კვირის განმავლობაში, როგორც მედავითნე, დაუღალავად კითხულობდა საღმრთო წერილის წიგნებს ქართულს ენაზედ. ხალხმა გაიგო თუ არა, ქართული კითხვაა ეკლესიაშიო, ორი იმდენი მოაწყდა, რაც უწინ იყო. ზიარების დღეს ბ-ნმა ლომთათიძემ ქართულ კონდაკიდგან წაუკითხა ხალხს „ზიარების ლოცვა“. ოც წელიწადზედ მეტია, რაც აქაური ქართველები გადმოსულან თავიანთ სამშობლო რაჭიდგან და მას შემდეგ მხოლოდ ამ კვირაში გაიგონეს ლოცვა მამა-პაპურს ენაზედ.

*** 8 მარტს, საღამოზედ, ტფილისის მცხოვრებმა იზმიროვმა ნერსეს ხალათოვს ამოაცალა ჯიბიდგან ქისა 90 მანეთით. ხალათოვს მალე გაეგო ფულის დაკარგვა, შეეტყობინებინა პოლიციისათვის, რომელმაც უკვე შეიპყრო ჯიბგირი იზმიროვი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. მოხისი, (გორის მაზრა). მოხისის სამრევლო სკოლის გახსნაზე დიდი გაი-ვაგლახი გადავიწყდა, მაგრამ დავი-დარაბა და უსიამოვნობა და გვავიწყდა, რადგან ამ სკოლამ მალე მოიპოვა ხალხის ნდობა და მოკლე დროში საუკეთესო სკოლად გარდაიქცა გორის მაზრაში. რაღა თქმა უნდა, ეს უნდა მივაწეროთ იმას, რომ სწავლის საქმე კარგად არის დაყენებული სკოლაში. მიუხედავად ამისა, 15 თებერვალს, დილის 8 საათზე, როცა მასწავლებელი ბ-ნი გორდელაძე სკოლაში მიემზადებოდა და შეგირდებიც შეკრებილნი იყვნენ, სკოლის გამგე, ახლად გამწესებული მღვდელი მ. გიორგი ნასყიდაშვილი, მამასახლისის თანაშემწის ხუციშვილისა და სხვათა თანადასწრებით, გამოცხადდა მასწავლებლის სახლის კარებზე და მიმართა მას შემდეგის სიტყვებით: „შენ აღარ გაბედო ამის შემდეგ სკოლაში სვლა და სწავლება, რადგან მე ჩემის განკარგულებით დაგითხოვე სამსახურიდგან“. მაშინვე დაჰკეტინა სკოლის კარები, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და შეკრებილ ბავშვებს გამოუცხადა, რომ სკოლა დაიკეტა და წადით სახლში, სწავლა აღარ იქნებაო. ამ მოულოდნელ სიტყვებისაგან გაოცებული შეგირდები მთელი საათი გაშტერებული იდგნენ და შემდეგ ტირილით დაბრუნდნენ შინ. მასწავლებელმა სთხოვა მღვდელს, გამაგებინეთ, რით მეპყრობით ასე უგანონოდო. მამა ნასყიდაშვილმა მიზეზად ის დაასახელა, რომ კიდეცამ წუხელ ქვით ფანჯარა გამიტეხა და, რადგან მე და შენ უსიამოვნობა გვქონდა, უეჭველად შენ იქნებოდი, და ამისთვის გითხოვ მასწავლებლობიდანო, და დანიშვნა-გინება დაუწყო მასწავლებელს. მასწავლებელმა მარტო ის უპასუხა, რომ დანიშვნა-გინებას შეგიძლიან, ხოლო სკოლის დაკეტვისთვის პასუხს გაგებინებენო. ამ ამბის მაყურებელმა ხალხმა სკოლის კარების გატეხა მოინდომა მაგრამ ჩვენ არ დავანებეთ, რადგან ვიცით, რომ ამ განკარგულებას ყურადღებას მიაქცევს მთავრობა და მამა გიორგი ნასყიდაშვილის საქციელს სამართლიანს მსჯავრს დასდებს. მე ჩემის მხრივ ამას ვიტყვი, რომ ხსენებული მასწავლებელი ოთხი წელიწადი აქ არის და არა დაუშავებია-რა, სკოლის საქმეც კარგად დააყენა და ხალხშიაც დიდი პატივისცემა მოიხვეჭა. რატომ მარტო მ. ნასყიდაშვილ-

---

9) ბალანთაში. (ქართველები) სულ 4 კომლს დაზიანებია სახლები ცოტათი და დაუტანია 2 ძროხა.

10) ჭიხარულა. (ქართველები და სომხები) ერთი კომლის სახლი ძალიან არის დაქცეული, ხოლო 8 კომლის ოდნავ, დახოცილა 6 ცხვარი და თხა.

რამდენად ჯერ კიდევ სრული არ არის ეს ცნობები, იქიდგანა სჩანს, რომ დღესაც მიმართეს ბ-ნს დუბანოსს (მაზრის უფროსის თანაშემწეს) ს. ლადოში მცხოვრებლებმა, რომ ჩვენც დაგვექცა სახლები და დახმარებას ვსაჭიროებთო. აგრეთვე ცნობილია, რომ ს. ბულაშენშიაც დაქცეულა სახლები; ბევრი აქაური მცხოვრები უბინაობის გამო შეჭფარებია ღამით თივების ზვინებს სითბოს გულისთვის; ერთს ზვინს უცაბედად ცეცხლი წაჰკიდებია და გადამწვარა 5 ბავშვი.

ბარალეთისავე საბოქაულოს არაგვის საზოგადოებაში:

1) ხულგუმოში. (ცხოვრობენ კათოლიკეები*) სცხოვრობს 18 კომლი, დაუტანია და მოუკლავს: ადამიანი 1, ხარი 4, ძროხა 1, ეკკლესიის ერთი კედელი გადმოქცეულა, ხოლო დანარჩენები დახეთქილა, სახლები დაქცეულა 39 თვალი.

2) არაგვა. 48 კომ. დაუტანია, ადამიანი 1, ძროხა 6, ცხვარი და თხა 13, დაქცეულა 60 თვალი სხვა და სხვა შენობა, აქვე არის სამინისტრო სასწავლებლის ქვითკირის შენობა, ფიცრის სახურავით, რომელიც, თუმცა არ არის სრულებით ჩანგრეული, მაგრამ იმდენად საშიშრად არის მისი კედლები დახეთქილ-დარღვეული, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა პერევოზნიკოვმა საჭიროდ სცნო დროებით შეჩერებულიყო ამ სკოლაში სწავლება.

3) ოლოვერდი. 3 ადამიანი გახდა მიწის-ძვრის მსხვერპლი და 45 სული საქონელი. დაქცეულ-დანგრეულია 91 სხვა-და-სხვა შენობა.

4) გორხი. მხოლოდ 13 სული საქონელი დახოცილა და 92 თვალი სხვა-და სხვა შენობა დაქცეულა.

5) ბუზავეთი. დაუტანია 11 ძროხა, 6 ცხვარი და დაქცეულა 18 თვალი სხვა-და სხვა შენობა.

6) მაჭატია. ადამიანი მოუკლავს 2, სხვა-და-სხვა საქონელი 53, დაქცეულა 97 თვალი სხვა-და-სხვა შენობა; სხვათა შორის, ერთ კვერცხით მოვაჭრეს დაჰლუპვია 5 საპალნე კვერცხი.

7) აბული. ადამიანი მოუკლავს 1, საქონელი 7 სული, დაქცეულა 73 თვალი სხვა-და-სხვა შენობა.

ამნაირად, ბარალეთის საბოქაულოს ყველა ხსენებულ სოფლებში მიწის-ძვრამ იმსხვერპლა 241 ადამიანი, 948 მსხვილ-ფეხი და 1576 წვრილ-ფეხი საქონელი (ცხვარი და თხა). ცნობებიდგან არა სჩანს, ხსენებულ 948 მსხვილ-ფეხ საქონელში წვრილ-ფეხიც ურევია, თუ არა (მაგალ. ზაქი, ხბო, კვებულა და სხვ.). გარდა ამისა, ეს ყველა ზემოდ მოყვანილი ცნობები არ უნდა ჩაითვალოს უკანასკნელ და ჭეშმარიტ ცნობებად, იმიტომ რომ, შეიძლება, ცნობები ნაჩვენები იყოს გარდამეტებით და, ამას გარდა, აღნიშნულ უბედურების შემდეგ ჯერ ახალქალაქიდგან მოსული ჯარები და შემდეგ თვით დაზარალებულნი და გადარჩომილ სოფლებიდგან მოსული მუშები ყოველ დღე სთხრიან ნაოხრებს, მეტადრე უფრო დაზიანებულ 5 სოფელში და ამოაქვთ ნანგრევებიდგან დალუპული ადამიანები და საქონელი, ასე რომ, მოყვანილი ციფირები დახოცილ ადამიანთა და საქონელთა, უეჭველია, შემდეგში შეიცვლება. ამ უკანასკნელს საქმეს, ე. ი. დაქცეულ სოფლებში მუშაობას ხელმძღვანელობს ახალციხის მაზრის დარაჯთა უფროსი ბ-ნი ა. ი. მესხიშვილი, რომელიც ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებითაა აქ გამოგზავნილი.

თუ რამდენი მკვდარი ადამიანი აღმოუჩენიათ შემდეგ ამ მთლად დანგრეულს სოფლებში და რამდენს კიდევ აღმოაჩენენ შემდეგში, ამისი ცნობები ხელთ არა გვაქვს ეხლა და ჯერ-ჯერობით არც შეიძლება გვქონდეს, რადგან ჯერ კიდევ ცნობაში არ არის მოყვანილი ნამდვილად, თუ რამდენი ადამიანი აკლია ყოველ დაქცეულს სოფელს, რადგან თავზარ-დაცემული ხალხი მთელს მაზრაშია ეხლა გაფანტულ-გაბნეული, ზოგი თავისით გახიზნული და ზოგი ადგილობრივ ადმინისტრაციის განკარგულებით დარიგებულ-დაბინავებული სოფლებში. აი, ვარევნის სასოფლო საზოგადოების მამასახლისისაგან წარმოდგენილი ცნობები, თუ რამდენი ხალხია დაბინავებული მის საზოგადოების სოფლებში. ხსენებული საზოგადოების შვიდ სოფელში, სახელდობრ ვარევანსა (ქართველები სცხოვრობენ), ხიზაბავრას (ქართველები), ვარგავს (ქართველი კათოლიკენი), თოკს (ქართველები და ქართველი მაჰმადიანები), ხანდოსა, ალიახტანსა და ტურცხში სულ 166 სული ადამიანია დაბინავებული დაზიანებულ სოფლებიდგან. თვით ს. ბარალეთში 404 სული ადამიანია შემოხიზნული იმავ სოფლებიდგან, არის უბინაოდ დარჩენილი ხალხი, გაფანტული მაზრის სხვა სოფლებში, მაგრამ სახელდობრ რამდენი და სად, ამის შესახებ ცნობები ჯერ არ არის შეკრებილი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზემო-აღნიშნულს ხუთ სოფელში დახოცილთ გარდა უნდა იყოს, როგორცა სჩანს მოყვანილ ცნობებიდგან, არა ნაკლებ 3,368 სული ადამიანისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ამდენი ხალხია დღეს მშობელ ჭერს და საკუთარს ბინას მოკლებული და გახიზნული სხვის ჭერ-ქვეშ. ამასთანავე თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სხვა, ცოტათი თუ ბევრად, დაზარალებულ სოფლებშიაც, უეჭველია, აღმოჩნდება არა ერთი და ორი ოჯახი, რომელთაც 19 დეკემბრის საშინელმა მიწის ძვრამ რამდენიმე წუთის განმავლობაში ხელიდგან გამოაცალა საკუთარი ბინა და

---

*) საყურადღებოა ამ სოფლის და აგრეთვე კარტიკამისა და ბავრის (ამავე არაგვის საზოგადოებას ეკუთვნიან) მკვიდრთა გარემოება: როგორც სხვა კათოლიკენი ჩვენში, ესენიც ოფიციალურად აღიარებულნი არიან სომეხ-კათოლიკეებად, თუმცა სომხურისა სრულებით არაფერი გაეგებათ და მათს დედა-ენას შეადგენს თათრული (თურქული) ენა. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ბევრს ამათგანს ეხლაც ნათესაური დამოკიდებულება აქვს აქაურ და მეტადრე ბორჩალოელ ქართველებთან, მაგ. რეხელებთან, რომელნიც, როგორც ვიცით, ლაპარაკობენ აგრეთვე თათრულად, ხოლო სარწმუნოებით მართლ-მადიდებელნი არიან და ეროვნებით-კი ქართველებს ეკუთვნიან.

თან დარჩა ის ცუდი კაცი, ვერ გავგეიგია. თუნდაც ცუდი კაცი იყვეს, სვლას რა დაუშავებია?

აზნ. ილიკო რაჟდენის ძე კვალიაშვილი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 3 მარტს 30 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი თანამემამულე პროფესორი და აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი სამეცნიერო, საპედაგოგიო და სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობს. სატახტო ქალაქის გაზეთებში ამის გამო ბევრს სწერენ. აი, სხვათა შორის რას ამბობს გაზ. „Сѣверный Курьеръ“-ი:

„აკადემიკოსი თარხნიშვილი, შთამომავლობით ქართველი, გენერალ-ლეიტენანტის შვილი, დაიბადა 15 ივნისს, 1846 წელს. პირველ დასაწყისი განათლება სახლში მიიღო, მხოლოდ ერთი წელიწადი ტფილისის გიმნაზიაში დაჰყო და შემდეგ 1863 წელს პეტერბურგის გიმნაზიაში შევიდა საბუნების-მეტყველო ფაკულტეტზედ; მეორე წელიწადს სამხედრო სამკურნალო აკადემიაში გადავიდა, სადაც 1869 წელს დაამთავრა სწავლა. სამის წლით თავ. თარხნიშვილი აკადემიაში დასტოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, ხოლო ამ ხნის შემდეგ აკადემიის კონფერენციამ საზღვარ-გარეთ გაგზავნა, რათა თავისს სპეციალურ საგანს ფიზიოლოგიაში უფრო უკეთ მომზადებულიყო. საზღვარ-გარეთ ნიჭიერმა ახალგაზდამ სამი წელიწადი დაჰყო: ჯერ სტრასბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ პარიჟის სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იქ თარხნიშვილი მეცადინეობდა შემდეგის მეცნიერების ხელ-მძღვანელობით: გოპპე-ზეილერისა, გოლცისა, რეკლინგაუზენისა, კალდეიერისა, კლოდ-ბერნარისაც, შარკოსი, რანვიესი და სხვათა. საზღვარ-გარეთ ყოფნის დროს თარხნიშვილმა ნემეცურსა და ფრანგულს ჟურნალებში 14 სამეცნიერო თხზულება დაჰბეჭდა.

„დაბრუნების შემდეგ 1875 წელს თავ. თარხნიშვილი დანიშნულ იქმნა აკადემიაში პრივატ-დოცენტად, რამდენისამე ხნის შემდეგ დამტკიცებულ იქმნა ფიზიოლოგიის ორდინარ პროფესორად. ამ თანამდებობაზე 1895 წლამდე დარჩა. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. 1892 წელს თარხნიშვილს ებოძა აკადემიკოსის წოდება“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს სამეცნიერო მოღვაწეობას პროფესორისას, იმის მიერ შედგენილ, გადმოთარგმნილ და იმის რედაქტორობით გამოცემულ თხზულებებს და დასასრულ ამბობს:

„თავ. ი. რ. თარხნიშვილი პეტერბურგელთ უსაყვარლესი ლექტორია. უნივერსიტეტში იმისი აუდიტორია ყველა ფაკულტეტის სტუდენტებით არის ხოლმე გატენილი. ხოლო „სოლიონი გოროდოკში“, სადაც ეს ორი წელიწადია ფიზიოლოგიის და ჰიგიენის ლექციებსა ჰკითხულობს, აუარებელი საზოგადოება იყრის თავს იმის ლექციების მოსასმენად. თარხნიშვილი უკვე დასათვის ადვილ-გასაგებ ენით კითხულობს ლექციებს და მეტად ცოცხლად გადასცემს ხოლმე მსმენელებს მეცნიერების რთულ სწავლა-მოძღვრებას და იმიტომ ესწრება ყოველთვის აუარებელი ხალხი იმის ლექციებს“.

მეორე გაზეთი „Бирж. Вѣд.“ სწერს, რომ თავ. ი. რ. თარხნიშვილმა მრავალის თხზულებებით გაამდიდრა სამეცნიერო ლიტერატურა. იმის რედაქტორობით გამოცემულ იქმნა 150 თხზულებამდე. იმისავე რედაქტორობით გადმოთარგმნილ და დაბეჭდილ იქმნა ისეთის მეცნიერების შრომანი, როგორნიც არიან კლოდ-დე ბერნარი, პრეიერი, რანვიე, ვილარი, ევალდი, ფოსტერი და სხვანი. თარხნიშვილის მრავალი მოსწავლე ამ ჟამად პროფესორად არის, ზოგი აქ რუსეთის უნივერსიტეტში, ზოგიც საზღვარ-გარეთ. ყველა ამას გარდა აკადემიკოსი თარხნიშვილი მრავალ ნიჭიერად დაწერილ წერილებს ჰბეჭდავდა სხვა-და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

წარსულ თებერვლის პირველ რიცხვებში სწორედ 75 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ რაც გეორგ სტეფანსონმა პირველი რკინის გზა გამართა და ამ რკინის გზაზედ ორთქლ-მავალით და უხეირო ვაგონებით გაიარა; ამიტომ მეტი არ იქმნება გავიხსენოთ ამ ფრიად სასარგებლო საქმის მოკლე ისტორია. რკინის გზის, ან უკეთ, ხის გზის გამართვის იდეია ეკუთვნის დარლინგტონის მცხოვრებს, მდიდარ ვაჭარს, ედუარდ პიზს, რომელმაც 1817 წელს განიზრახა ქ. სტოკტონისა და დარლინგტონის შუა ხის რელსების გაწყობა და ამ რელსებზედ ვაგონებით ქვა-ნახშირის ზიდვა ცხენების შემწეობით. ადგილობრივი მცხოვრებნი პიზის პროექტს სიცილით მიეგებნენ. მაგრამ პიზი ამას არ შეუშინდა და თავისს განზრახვის განხორციელებას შეუდგა. პიზმ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ასეთის გზის გაყვანის ნება-რთვის შესახებ. პირველად მთავრობამ ეჭვის თვალით შეხედა პიზის პროექტს, მაგრამ ბოლოს, ოთხის წლის შემდეგ ნება დართო ხის რელსების გადებისა. სწორედ ამ დროს პიზი გაიცნო გეორგ სტეფანსონმა, პირველის ორთქლ-მავალის გამომგონმა. სტეფანსონს თავისს ახალი გამოგონებით უკვე სახელი ჰქონია გავარდნილი. პიზმა იგი, როგორც მცოდნე და გამოცდილი ტეხნიკოსი, მიიწვია ახალის გზის გასამართავად. მალე სტეფანსონმა დაარწმუნა პიზი, რომ ხის რელსების ნაცვლად გაეწყოთ რკინის რელსები. პიზი დასთანხმდა და აი, 1825 წელს, თებერვლის პირველ რიცხვებში, სტეფანსონის მიერ გამოგონილმა ორთქლ-მავალმა ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. აუარებელი ხალხი შეიკრიბა ამ დღისთვის. ბევრს არა სჯეროდა, რომ ეს რაღაც ახალი მანქანაა სიარულს მოახერხებდა; ბევრმა შემდეგაც ეჭვის თვალით შეჰხედა სტეფანსონის გამოგონებას; ამბობდნენ, რომ ორთქლ-მავალის კომლი მცენარეულობას გაანადგურებსო, მიწის ფასს დასცემსო და სხვას. რელსები ათის მილის მანძილზედ იყო გადებული და ეს მანძილი პირველმა ორთქლ-მავალმა $^{3}/_{4}$ საათში გაიარა. სტეფანსონისა და პიზის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს რკინის გზა კაცობრიობის პროგრესს ერთი-ორად დააჩქარებს და, როგორც ისტორიამ გვაჩვენა, არც მოსტყუვდნენ. ოფიციალურად პირველ რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლა იმავე წლის 27 სექტემბერს დაიწყო. პირველსავე დღეს რკინის გზით 600 კაცმა ისარგებლა. ამ დღიდგან რკინის გზა საოცარის სისწრაფით გავრცელდა და დღეს ისეთი სახელმწიფო აღარც-კია, სადაც მატარებლები არ დაიარებოდნენ.

* * *

ქ. ბალტიმორში სცხოვრობს კაპიტანი ფრედერიკ დ’ოსტა. კაპიტანს ერთი მაიმუნი ჰყავს. რამდენიმე თვე იქმნება, რაც კაპიტანი ამ მაიმუნის გაწვრთვნას შესდგომია. აზრადა აქვს უმთავრესად ლაპარაკი ასწავლოს მაიმუნს. მაიმუნი უკვე თავისუფლად ამბობს შემდეგ სიტყვებს: „დედა“, „ჰო“ და „არას“. ამ ჟამად ქაშს, ასე ეძახიან მაიმუნს, ხმოვან ასოებს ასწავლიან და, როგორც ამბობენ, დიდ უნარს იჩენს. უფრო ქამს უხმო ასოების გამოთქმა უძნელდება თურმე. ქამი სადილსა და ვახშამს კაპიტანის ოჯახთან ერთად შეექცევა; სტოლზედ ერთი დანიშნული ადგილი აქვს და სადილის ან ვახშმის დროს იმ ადგილს იჭერს ხოლმე. ქამი ტანისამოსსაც ატარებს. დაწოლის დროს თვით იხდის ტანისამოსს და ლოგინში წვება, ამასთან ყოველთვის საბანს იხურავს ხოლმე.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მარტი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და მემკვიდრე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე 8 მარტს მიბრძანდნენ კონსტანტინეს არტილერიის სასწავლებელში.

**ლონდონი.** „Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან 19 მარტს: როგორც ერთმა კაცმა ამბავი მოიტანა, რომელიც ამას წინად იოჰანესბურგში იყო, მთავრობას ნება დაურთავს განაგრძონ მუშაობა ბევრს მადნებში.

იმავე გაზეთს დეპეშით აუწყებენ ლორენცო-მარკეზიდგან 19 თებერვალს: გაზალანდის ადგილობრივ შთამომავლობის ხალხმა ამბოხება მოახდინა და პორტუგალიის გუბერნატორი ჯარით წავიდა 18 მარტს ცალკე გემით ამბოხების მოსასპობად.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებს შანხაიდგან 20 მარტს გაზეთ „Nord China Daily News“-ის კორესპონდენტი: რადგან ჩინეთის მთავრობამ არავითარი ღონისძიება არ იხმარა უცხოელების წინააღმდეგ ატეხილ მოძრაობის მოსასპობლად, გუბერნატორმა შეატყობინა მისიონერებს, რომ ადგილობრივი მთავრობა ვერ დააიმედებს იმათ, რომელნიც მხლებელთა გაუყოლებლად მოგზაურობენ, რომ არავირი შიში არ მოგელითო. ჩრდილოეთ მხარეს საქმის მდგომარეობას, რომელსაც ჩინეთის მთავრობის უცხოელებისადმი სიმძულვარეს აწერენ, ყურადღება თუ არ მიექცა და იმის წინააღმდეგ ღონისძიება არ იქმნა ნახმარი, იმ შემთხვევაში ამ გვარ გულ-გრილობას ცუდი შედეგი მოჰყვება.

**ნიუ-იორკი.** როგორც გაზეთ „Herald“-ის ვაშინგტონელ კორესპონდენტს გაუგია, გერმანია მზად არის დაიფაროს შანტუნგში ამერიკელი მისიონერები. ამას წინად იმათ დასაფარავად გერმანიამ გაჰგზავნა რაზმი კიაუტშეუდამ იტშაუფს. გერმანიის წინადადება, რომ ჯარს გავჰგზავნიო, დიდის მადლობით იქმნა მიღებული ვაშინგტონში.

გეიმ სრულიად უთავბოლოობა დაარქვა საზღვარ-გარეთ გავრცელებულ ხმებს, ვითომც გერმანიის ელჩს გოლებენს ეთხოვოს შეერთებულ შტატების მთავრობისათვის, გავლენა

---

ყოველი საცხოვრებელი, მაშინ ხომ უბინაოდ დარჩენილ ხალხის რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს 3,368 სულზედ.

რაიცა შეეხება მომხდარ უბედურების დროს დაშავებულთა რიცხვსა, ცნობილია, რომ აქამდის გაგზავნილია ახალქალაქში ბ-ნ მაზრის უფროსისა და იქ არსებულ კომიტეტის თაოსნობით დროებით დაარსებულს ქსენონში ორმოცდაათამდის ავადმყოფი, რომელთაგან ზოგი დამწვარია, ხელ-ფეხ-დამტვრეული და სხვ. ეს საავადმყოფოები მოთავსებულია ორ-სამს ადგილას, საკმაოდ რიგიანად და სუფთად მოწყობილი, რაც შეიძლებოდა მოხერხებულიყო ასე უცბად, და მათთან სამკურნალოდ დაიარებიან სამხედრო ექიმები უსპენსკი, ბრონიკოვსკი და კაბაკოვი. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ბ-ნ ბრონიკოვსკის მოქმედებას ამ შემთხვევაში. იგი პირველადვე მოჰყვა სამხედრო რაზმის მესამე ბატალიონს და, ვინემ ყველა დაშავებულთ გაჰგზავნიდნენ ბარალეთიდგან ახალქალაქში, დაუღალავად შრომობდა და სწამლობდა მათ თითქმის მარტო.

მიწის ძვრის დღიდგანვე ბარალეთის ნორმალურ სასწავლებლის ფართო შენობამ დიდი შემწეობა აღმოუჩინა თასობით ცას ქვეშ დარჩენილთ. საშინელმა ყინვამ ნახევრად ტიტველ-შიშველ დაზიანებულთ მაშინვე მოაძებნინა თავ-შესაფარი და იმ დღიდგან თითქმის ქრისტეშობისთვის გასვლამდე დღე და ღამე სავსე იყო სასწავლებლის 3 ფართო ოთახი ხალხით, იმავე მდგომარეობაში იყო ბარალეთის ყოველი ოჯახი, სადაც თავი შეაფარეს დაზარალებულთ და ბინა უშოვეს თავიანთ საქონელს ბარალეთლების გომურებში. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ვინემ ქველ-მოქმედნი სხვა-და-სხვა მხრიდგან მოეშველებოდნენ სურსათით, თუ სხვა საჭირო ნივთებით, ამ აუარებელს ხალხს და მათს საქონელს ჰკვებავდნენ მხოლოდ ბარალეთლები. მე თვითონ შემიძლიან დავამტკიცო, როგორც ადგილობრივ კომიტეტის წევრმა, რომ ქრისტეშობისთვის 19-ს, 20 და 21-ს ეს ამოდენა ხალხი გამოიკვება ბარალეთში მოკრეფილი პურით, გარდა იმისა, რომ თითქმის ორი ამოდენაც თვით ბარალეთლების სახლებში იყვნენ და იკვებებოდნენ თავიანთი საქონლით მათის საჭმელ-სასმელით. ეხლაც ბევრია იმათთან შეხიზნული ხალხი თუ საქონელი. ბარალეთლებმავე დაუცალეს ერთი ხარი დაზიანებულთ და სასწავლებელი აძლევდა ოთახების გასათბობად თავისს შეშასა და წივას. გარდა ამისა, სასწავლებლის ერთს ოთახში ავადმყოფებისათვის მოწყობილი იყო ოცამდის საწოლი სკოლის კრაოტებზედ. საყურადღებოა აგრეთვე ს. ბალანთის ნაცვლის არჩილ ზედგინიძის საქციელი ამ შემთხვევაში. ამ გაუნათლებელმა, ახალგაზდა, გამოუცდელმა გლეხ-კაცმა იმდენი სიმამაცე და უნარი გამოიჩინა ამ თავზარ-დამცემ მოვლენის დროს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისს პატარა სოფელშიაც (სულ 20—25 კომლია) იყო რამდენიმე სახლი ჩამოქცეული,—ჩინებულად უპატრონა უბინაოდ დარჩენილს ბეჟანოელებს (ამათი სოფელი ბალანთაზედ 2—3 ვერსტითაა დაშორებული), უშოვა თავ-შესაფარი და სასმელ-საჭმელი რამდენიმე ასს სულს ადამიანს დროებით; ასე რომ, ბეჟანოელები მხოლოდ ქრისტეშობისთვის 23-დგან ვნახეთ ჩვენ ბარალეთში ჩამოსულები პურის წასაღებად, რომელსაც არიგებს ადგილობრივი კომიტეტი.

შესაბრალებელია ბარალეთის საზოგადოების მკვიდრთა მდგომარეობა კიდევ იმით, რომ მიწის ძვრა არ მოისპო ჯერაც. ამ ხნის განმავლობაში, რამდენათაც დაკვირვებული ვართ, ნიადაგის მოძრაობას არავითარი სისტემა და თანდათანობა არ ეტყობა, ე. ი. არ ემჩნევა, რომ მიწის ძვრა თანდათან სუსტდებოდეს და იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო ხანში სულ შესწყდება. ამის საბუთს ქვემოდ მოყვანილს ცნობებიდგანაც დავინახავთ. რამდენადაც შემჩნეული გვაქვს, მიწა იძვროდა ხოლმე, მეტადრე დიდი ძვრის დროს, სამხრეთ აღმოსავლეთიდგან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ პირველ მოძრაობის დროს და შემდეგ ეს მიმართულება იცვლებოდა, თითქო ყოველი მხრიდგან ვგრძნობდით ძვრას. შეიძლება, ეს ასე გვჩვენებიყოს სახლების მიქან-მოქანების გამოც, რაიცა აუცილებელია ძლიერი მიწის ძვრის დროს, თუმცა იგი ერთი მხრიდგანაც იყოს.

ცხრამეტის შემდეგ თითქმის დღე არ გასულა, რომ დღე-ღამეში ორ-ჯერ-სამჯერ მაინც არ შეგვემჩნიათ მიწის ძვრა, ხან სუსტი და ხან, ცოტად თუ ბევრად, საგრძნობელი. საყურადღებოა მიწის ძვრა ქრისტეშობისთვის 30-ს, საღამოს 10 ს. და 20 წ. და იანვრის პირველს, თითქმის იმავე დროს. ამ უკანასკნელმა მიწის ძვრამ, რომელიც თავისის ძალით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა 19 დეკემბერს მომხდარ ძვრას, ისე თავ-ზარი დასცა და გაუძლიერა ხალხს შიში, რომ მთელი ბარალეთი მაშინათვე გამოლაგდა სახლებიდგან გარეთ და დღესაც გარეთ არიან საჩქაროდ მოხორხლილს მსუბუქ კოხებს ქვეშ შეფარებულნი. უნდა გამოვტყდეთ, რომ თვით ჩვენც, სასწავლებელში მდგომთ, ველარ გავბედეთ ოთახებში შესვლა, თუმცა სკოლის შენობა საკმაოდ მაგარი და ჯერ კიდევ საიმედოა, და გარეთ გავათიეთ ორი ღამე.

ამ უკანასკნელმა მიწის ძვრამ თვით ბარალეთშიაც, რომელიც ასე მშვიდობით გადაურჩა ცხრამეტ დეკემბრის ძვრას, დააქცია ოცამდის სახლი და დანარჩენების კედლები იმდენად დახეთქილ-დარღვეულია, რომ ხალხი ველარა ჰბედავს სახლებში შესვლას. როგორც დაგვარწმუნეს ბ-ნებმა რ. დ. მაჭავარიანმა (საგუბერნიო ექიმის თანაშემწემ), და ა. ი. ალექსი-მესხიშვილმა, ძალიან დაზიანებულ სოფლების ახლო-მახლოს უნახავთ რამდენიმე ადგილას ნიადაგის ზედა-პირი დახეთქილი.

საკვირველია, რომ პირველს იანვარს მომხდარი დიდი მიწის ძვრა არ გასცილებია ბარალეთსა და მისს მიდამოს. ასე გასინჯეთ, ახალქალაქში, მაგალ., რომელიც სულ 15—16 ვერსტითაა დაშორებული ბარალეთზე, ეს მიწის ძვრა შეუმჩნევია მხოლოდ რამდენსამე კაცს, ისიც ოდნავ, იმდენად სუსტი ყოფილა იგი იქ.

ალ. მიქელაძე

4 იანვარი 1900 წ.
სოფ. ბარალეთი.

იქონიეთ ბურებზედ იოჰანესბურგი არ დააქციონო.

**ბერნი.** აი რა პასუხი შეუთვალა შვეიცარიის კავშირის საბჭომ ბურებს, როდესაც მათ შუამდგომლობა სთხოვეს: „შვეიცარიის კავშირის საბჭო სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას სამეგობრო შუამდგომლობაში, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ორივე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების პრეზიდენტებმა ინგლისის მთავრობას მიჰმართეს გარდაწყვეტილის წინადადებებით ზავის ჩამოსაგდებად, რომელიც ბრიტანიის მართველობამ უარ ჰყო და აგრეთვე მას შემდეგ, როდესაც ბრიტანიის მთავრობამ გამოუცხადა ვაშინგტონის კაბინეტს, რომ არ მივიღებთ არავითარ შუამდგომლობასაო, შვეიცარიის მთავრობა, სამწუხაროდ, იძულებულია უარი სთქვას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების პრეზიდენტების თხოვნაზედ, და ეხლანდელს გარემოებათა მიხედვით მხოლოდ შეგვიძლიან ვისურვოთ, რომ მოკლეს დროში ორსავე მებრძოლთ შორის ისეთი თანხმობა ჩამოვარდნილიყოს, როგორიც მათთვის საუმჯობინარესო იქმნება.

9 მარტი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ჰბრძანა, რომ ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულ სავაჭრო ნავოსნობის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის აღსრულება დაევალოს დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს და განთავისუფლდეს ამ თანამდებობიდგან ადმირალი ჩიხაჩოვი, რომელიც დანიშნულია სახელმწიფო საბჭოში მრეწველობისა, მეცნიერებისა და ვაჭრობის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

**კაპშტადტი.** უარენტონიდგან მოსული ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ მტერი ეხლა უფრო მცირე რიცხვოვანია, მაგრამ მაინც თავისი ადგილი უჭირავს მდინარის ნაპირად; ამ ადგილამდე ინგლისის მ-ნ დვრის ზარბაზნები ძნელად მიაწევს, მტრის ზარბაზნები-კი, როგორც ეტყობა, წაღებულიაო.

**ლონდონი.** კრონშტადტიდგან 5 მარტს საღამოს გაზეთებს აუწყებენ დეპეშით, რომ აქაური ბურების ჯარი მამაცად მოელის ინგლისელებს, რომელნიც ნელ ნელა გვიახლოვდებიან. კრიუგერმა მიჰმართა ბურგერებს და მოუწოდა, რომ მხნედ იყავით ამ განმათავისუფლებელს ომშიო. „თუ ინგლისელებს ეხლა ბლუმფონტენი ხელში უჭირავთ, მაინც სამშობლოს დამოუკიდებლობა საბოლოოდ დაცული იქნებაო“. შტეინმა ასეთივე სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია ბურგერებს, რომ ნუ დაუჯერებთ რობერტსის პროკლამაციას, ვითომ იარაღი დაგვეყაროსო. ორმავე სიტყვამ ბურგერები აღაფრთოვანა

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“, შეუტყვია, რომ გუშინდელი ცნობა გაზეთ New-york Herald“-ისა, ვითომ კრიუგერსა და სალისბერის ერთმანერთისათვის დეპეშა გაეგზავნოთ, მართალიაო. სალისბერის განუცხადებია კრიუგერისათვის; პრეტორიაში ტყვედ მყოფნი ბრიტანიელნი რომ რითიმე დაზარალდნენ, ამის პასუხს პირადად ორსავე პრეზიდენტს მოვთხოვთო.

**ლონდონი.** „Standard“-ს აუწყებენ დეპეშით ბლუმფონტენიდგან 7 მარტს, რომ კოლსბერგთან მყოფი 4,000 ტრანსვაალელი ბური სცდილობს საზღვარს გადავიდეს ბასუტოლანდთანაო; ყოვლად მოსალოდნელია, რომ ტყვედ იქმნებიან დაჭერილნი.

„Daily Mail“-ის გაზეთის ბლუმფონტენელი კორესპონდენტი ჩამოვიდა გუშინ და იცნობება, რომ ამ სამს კვირას სამხედრო მოძრაობა უეჭველია შეჩერებულ იქმნება, რადგან მოლაპარაკება დაიწყოო.

„Times“-ს აცნობებენ ლორენცო-მარკეზედგან, რომ როგორც ხმა დადის, ლაპარაკი აქვთ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის შეერთების შესახებ, ისე-კი, რომ კრიუგერი პრეზიდენტად იყოს და შტეინი მთავარ-სარდლადაო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ ინგლისელებმა დაიპყრეს რუკსვილლი და სლისტფილდიო.

**ლონდონი.** გლენკოსთან მყოფ ბურების ბანაკიდგან დეპეშით სწერენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ ინგლისის სამხედრო უწყებას გაეგზავნა ლი-მეტფორდის ყაიდის თოფის ტყვიები, ცნობილი „დუმ-დუმის“ სახელით, რომელიც ადამიანის ხორცში აფეთქდება ხოლმე. ეს ტყვიები ბურებს ნატალში მყოფ ინგლისელ ჯარის-კაცებისათვის გამოურთმევიათ.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს საქაშეთის სკოლას შემწეობა აღმოუჩინეს. სია შემომწირველთა: ამ სკოლის მზრუნველმა თავ. გრიგოლ ნიკოლოზის ძემ დიასამიძემ მასწავლებლისათვის მაგიდა, სკამი და დაფის მასალა, ღირებული სულ 20 მან. ქ-ნმა ან. წერეთლისამ 1898—1899 წლების „ჯეჯილის“ ნომრები, თავ. მიხეილ ნიკოლოზის-ძემ დიასამიძემ სხვა-და-სხვა საყმაწვილო და სახალხო წიგნები და ამ წლის „ჯეჯილი“.

მასწავლებელი დ. ს. პავლიაშვილი.

—

მადლობას ვუცხადებთ ქ-ნთ თამარა დიმიტრის ასულს წერეთელს, მართა ივანეს ასულს და ელისაბედ ბიჭიას ასულს აბაშიძეებს და ბ-ნს ზურაბ ალექსანდრეს ძეს წერეთელს, რომელთაც წარმოუდგინეს საჩხერის სამკითხველოს მათ მიერ სოფ. ჭალაში გამართულ წარმოდგენის შემოსავალი შვიდი მანეთი.

საჩხერის სამკითხველოს გამგენი: ყარამან ჩხეიძე და იასონ ლამბაშიძე.

—

ჩემ მიერ ახალ აღშენებულ ქვემოქბიის მაცხოვრის ეკკლესიას შემოსწირა ფილიპე ქირიამ ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ფეშხუმი, ღირებული 74 მან., ხობის მონასტრის მღვდელ-მონაზონმა კალისტრატე ჩიჩუამ—სადღესასწაულო, ღირებული 10 მ., ხობის მონასტრის მორჩილმა მარკოზ ჯაბურიამ—სახარება—12 მან., ანტონ ბარამიამ ღვთის-მშობლის ხატი, ღირებული 3 მან. ყველა შემომწირველს უგულითადეს მადლობას ვსწირავ.

მღვდელი ნესტორ სასანია.

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეები განსახილველად დანიშნული:

**სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი**

11 მარტი.

საქმე სალდა მარგანიასი, რომელსაც ქურდობის ბრალი ედება.

საქმე ბარუჩა შელიასი და პავლე ფიჩხაისი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

საქმე დიტო ბაჩილავასი და ძიკი ბაბილუასი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

16 მარტი.

საქმე ბრალდებულის ფოთის პოლიცმეისტერად ნამყოფისა მაქსიმე ვოლობუევისა, ინჟენერის ევგენი მეიერისა და სხ., რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 236 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

18 მარტი.

საქმე გიორგი თომაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

საქმე მიხეილ მეფისაშვილისა, ტუფანრაჯაბ-ოღლისა და სხ., რომელთაც ივანე მეფისოვის მოკვლა ჰბრალდებათ.

24 მარტი.

საქმე ალექსანდრე ჩხენკელისა და ნესტორ გაბუნიასი, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-1655 მუხ. მე-2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

საქმე ივანე არველაძისა, რომელსაც კაცის მოკლა ჰბრალდება.

საქმე გიორგი მათუასი, კიმოთე შენგელიასი, დათა ლიპარტიასი და სხვ., რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე კუტა გერგაიასი, ეგნატე ცხადაიასი და ივანე სალაყაიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე პართენ კალანდიასი და ფილუ კვარაცხელიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

---


# განცხადებანი

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში (ამ განყოფილებაში მიიღებიან 9—11 წლისანი) და პირველ კლასში (10—12 წლისანი) დანიშნულია ამ წლის 25 და 28 აპრილისათვის; მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები რვა წლიდგან დაუწყებული უეგზამენოდ.

სწავლის ფასი წლიწადში: მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში—80 მან.; უფროს განყოფილებაში—100; პირველ კლასში—120 მან.

სწავლა ამ წლის **სექტემბრიდგან** დაიწყება.

სწავლა დამთავრებულთ შემდეგი უფლებანი ენიჭებათ: 1, სამხედრო ბეგარის გადახდის დროს სარგებლობენ პირველის ხარისხის შეღავათით; 2, უმაღლეს სასწავლებელში და სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს ისეთივე უფლება ეძლევათ, როგორც რეალურ სასწავლებელში სწავლადამთავრებულთა აქვთ; 3, საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ეძლევათ პირად საპატიო მოქალაქის წოდება, ამას გარდა ვინც კარგად დაამთავრებს სწავლას—კომერციის კანდიდატის წოდება და საჩუქრადაც ოქროსა და ვერცხლის მედლები ეძლევა.

თხოვნები უნდა შეტანილ იქმნას დირექტორის სტატსკი სოვეტნიკის მაქს ოსიპის ძის ფიშერის სახელზედ.

თხოვნასთან უნდა იყოს საბუთის ქალდები წოდებისა და ყვავილის აცრის შესახებ და დაბადებისა და მონათვლის მოწმობა. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1); იქვე მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს ეგზამენების პროგრამები და ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდება. (5—ნ.—2)

---

გამოვიდა და იყიდება ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზედ

ქ-ნ ო. ნ. პაპოვის მიერ გამოცემული

ფრიდრიხ ენგელსის მიერ შესწორებული მე-4 ნემეცურ გამოცემიდგან პ. სტრუვეს რედაქციით რუსულ ენაზედ გადმოთარგმნილი

## კ. მარქსის „კაპიტალი“.

პირველი ტომის პირველი წიგნი „კაპიტალის ზრდის პროცესსი“

ფასი ჯ მან.

---

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საბოლოო გაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარები ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემის სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—ნ.—5) გ. ა. კრაუზე.

---

## ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს,

რომ მან, 1900 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, **ქალაქის სამკურნალოსა და იმის განყოფილებებში** ავადმყოფთა მიღების საქმის განსაწესრიგებლად, შემდეგი **წესები დაადგინა:**

1, ქალაქის სამკურნალოსა და იმის განყოფილებებში (კუკიისა, ხარფუხისა და ავლაბრისაში) უსასყიდლოდ მკურნალობა შეუძლიანთ მხოლოდ ღარიბებს. უსასყიდლოდვე მიეცემათ მათ წამლები, ღარიბებმა სამკურნალოში ჩაწერის დროს უნდა წარადგინონ სიღარიბის მოწმობა.

2. ამ მოწმობების მიღება შეიძლება: პოლიციისაგან, ყველა სარწმუნოების მღვდლებისაგან, ყველა მკურნალებისაგან, როგორც ქალაქისა და სახელმწიფო სამსახურში მყოფთაგან, აგრეთვე კერძო მკურნალებისაგანაც. სანიტარო მზრუნველთა, საქველმოქმედო საზოგადოებათა, სავაჭრო, სახელოსნო და სხვა წოდების მამასახლისთაგან, სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებისაგან და აგრეთვე სასწავლებლების გამგეთაგან.

3. სიღარიბის მოწმობები არ მოეთხოვებათ მხოლოდ იმ ავადმყოფთ, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოეჩინოს სამკურნალო დახმარება.

4. სამკურნალოსა და იმის განყოფილებებში ჩაწერა შეიძლება შუადღის 12 საათამდე.

(3—ნ.—3)

---

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—ნ.—1)

---

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—86)